„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...“ ლადო ასათიანი

ასპინძის სიახლენი

ასპინძის მუნიციპალიტეტი * ივლისი . 2019 * (5)52

გაიმართა საკონკურსო კომისიის სხდომა

10 ივნისს, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიაში გაიმართა საკონკურსო კომისიის სხდომა ,,დაბა ასპინძაში კულტურისა და დასვენების პარკის რეაბილიტაცია და მერიის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კონკურსის საშუალებით შესყიდვაზე“.

აღნიშნულ საკონკურსო კომისიის სხდომაზე მოხდა გამოცხადებულ კონკურსში (CNT190000023) ი/მ ,,ბეჟანი ვარდიძის“ მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაციის საკონკურსო პირობებთან შესაბამისობის განხილვა.

აშშ-ის საელჩოს მხარდაჭერით გაიმართა



18 ივნისს ასპინძის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში, პროექტის – „დასავლური ინტეგრაციის პროცესის შესახებ ინფორმირებულობისა და ჩართულობის გაზრდა რეგიონებში“ – წარდგინება გაიმართა.

აღნიშნულ პროექტს საგარეო საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულის სიპ-ი – „საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“ – ახორციელებს.

პროექტის წარდგინებას ასპინძის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შეხვედრას – ნატოსა და ევროკავშირის თაობაზე, სამცხე-ჯავახეთის საინფორმაციო ცენტრის ბიუროს წარმომადგენელი თეონა ზურაბაშვილი და საინფორმაციო ცენტრის მიერ მოწვეული ექსპერტი ირაკლი მენაღარიშვილი უძღვებოდნენ.

პროექტი საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტისა და საქართველოში აშშ-ს საელჩოს მხარდაჭერით გაიმართა და მიზნად ისახავდა საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდას და აღნიშნულ პროცესში საქართველოს მოქალაქეების ჩართვას.

მუნიციპალიტეტის საკრებულოში

13 ივნისს, ასპინძის საკრებულოს თავმჯდომარის მამუკა მელიქიძის ხელმძღვანელობით, მუნიციპალიტეტში საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა. საკრებულოს სხდომის ფარგლებში დეპუტატებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები განიხილეს:

1). ასპინძის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ;

2). „ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები„;

3). ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის N13 დადგენილების დანართში შესატანი ცვლილების შესახებ;

4). ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების ა(ა)იპ „ასპინძის მელიორაციისა და სასმელი წყლის ცენტრისათვის“ უსასყიდლო უზურფუქტის ფორმით გადასაცემად, მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე;

5). ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვებზე გაფორმებული ხელშეკრულებების დამტკიცების შესახებ (N37-N79);

6). ქალაქთმშენებლობის დოკუმენტაციის დამტკიცების შესახებ.

დეპუტატებმა წარმოდგენილი საკითხი ხმათა უმრავლესობით დაამტკიცეს,

რიგგარეშე სხდომა გაიმართა

28 ივნისს, ასპინძის საკრებულოს თავმჯდომრის მამუკა მელიქიძის ხელმძღვანელობით გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

საკრებულოს სხდომის ფარგლებში დეპუტატებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები განიხილეს;

1.ასპინძის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ;

2. ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისათვის „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო წარმომადგენელი ასპინძის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური“ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

3. ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

4. ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 17 აპრილს მიღებული ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;

5. ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების თაობაზე“ 2019 წლის 27 თებერვლის N10/12 განკარგულების დანართში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დეპუტატებმა წარმოდგენილი საკითხები ხმათა უმრავლესობით დაამტკიცეს.

შეჯამდა გასული სასწავლო წელი

გასული წლის განმავლობაში საგანმანათლებლო რესურსცენტრის ჩართულობითა და ორგანიზებით მუნიციპალიტეტის სკოლები აქტიურად მონაწილეობდნენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებულ სხვადასხვა პროგრამებსა და კონკურსებში, ეროვნულ სასკოლო, სპორტულ და სპორტულ-შემეცნებით ოლიმპიადებში, მედიაპროექტ ,,ეტალონში"; რეგულარულ ხასიათს ატარებდა საჯარო სკოლების წარმომადგენლებთან შეხვედრები – კონსულტაციები კათედრებთან, პედაგოგებთან, დირექციების წარმომადგენლებთან; ასევე ეწყობოდა კონკურსებსა თუ პროგრამებში მონაწილეობის დაგეგმვა, ტრენინგების ორგანიზება, ეროვნული სასწავლო გეგმის, დამწყებ მასწავლებელთათვის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის სიახლეების გაცნობა, სხვადასხვა თვალსაჩინოების, ლიტერატურისა და მასალების გადაცემა...

გამორჩეული იყო რესურსცენტრში გამართული შეხვედრები თემაზე: ,,ერთი წარმატებული გამოცდილება“, სადაც 15 საჯარო სკოლის მასწავლებელმა წლის მანძილზე წარადგინა თითო წარმატებული პროექტი.

ცხადია, სკოლაში უდიდესი როლი მასწავლებელს ენიჭება. აქტიური, კრეატიული მასწავლებელი ყოველთვის ვითარდება და სტიმულს აძლევს კოლეგების წინსვლასაც. ამის დასტური იყო წარდგინებები – ზეინაბ ივანიძის (აწყვიტის საჯარო სკოლა) ,,ისწავლე და ასწავლე„; – ,,როგორ გავხდი აქტიური მოქალაქე„' შორენა ხიზაძე – ,,ხელოვნების სახელოსნო„; რევაზ გვირჯიშვილი (რუსთავის საჯარო სკოლა); ,,პროექტი, რომელმაც წარმატება მოგვიტანა„; ხათუნა მიქელაძე (ოშორის საჯარო სკოლა); ,,როგორ გავხდით საქართველოს ჩემპიონები“ – მამუკა ნადირაძე (ტოლოშის საჯარო სკოლა); ,,მასწავლებლის პირადი წარმატება“ – ასმათ ხაზალაშვილი – ხიზაბავრის საჯარო სკოლა, მაყვალა ასპანიძე – ნიჯგორის საჯარო სკოლა; ,,ასე შევიყვარეთ კითხვა“ – მაია სუარიძე – დაბა ასპინძის საჯარო სკოლა; ,,სპორტი – ბარიერების გარეშე“ – მედგარ ჯვარიძე – ჭობარეთის საჯარო სკოლა, თემურ ბერიძე – ნაქალაქევის საჯარო სკოლა, თემურ ლონდარიძე – ხერთვისის საჯარო სკოლა; ,,სიყვარულია მთავარი“ – ნანა შავაძე – ივერიის საჯარო სკოლა; ,,სახელმწიფო ენის სწავლება არაქართულ სკოლაში“ – ნათია

ზედგინიძე-სოლოიანისა – დამალის საჯარო სკოლა; ,,პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა“ – ეთერ გაჩეჩილაძე – იდუმალის საჯარო სკოლა.

გასულ სასწავლო წელს სკოლებში ამოქმედდა დაწყებითი საფეხურის ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა. ახალი სახელმძღვანელოები I-VI კლასების მოსწავლეებმა. 2019-2020 სასწავლო წლიდან დაინერგება შემდგომი საფეხურის ახალი ეროვნული სასწავლო გეგმაც.

სხვადასხვა პროექტი განხორციელდა სასკოლო აქტივობების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში აწყვიტის, დამალის, რუსთავის, ტოლოშის, მირაშხანის, ივერიის, დაბა ასპინძის, ოშორისა და ნაქალაქევის საჯარო სკოლებში.

წელს 137 კურსდამთავრებული გვყავს. მათგან 15 – ოქროსა და ვერცხლის მედალოსნობის კანდიდატია ასპინძის, დამალის, აწყვიტის, რუსთავის, ოშორის საჯარო სკოლებში; პროგრამა – ,,ჩემი პირველი კომპიუტერის“ 9 ბენეფიციარი ჰყავს ასპინძის, ტოლოშის, ზველის საჯარო სკოლებს.

ხიზაბავრის, რუსთავის, ასპინძის საჯარო სკოლების მოსწავლეები – ირაკლი მაზმიშვილი, მარიამ სანდროშვილი, ლინდა ლომიძე,

დასასრული მე–2 გვ.

გამოსაშვები ღონისძიება გაიმართა

ასპინძის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის N1 და N 2 დაწესებულებაში გაიმართა გამოსაშვები ღონისძიება.

ჯგუფის – „ბზიკების“ აღსაზრდელები დამსწრე საზოგადოების წინაშე საინტერესო და მრავალფეროვანი სანახაობებით წარსდგნენ და, ამავე დროს, საქართველოს ყველა კუთხის ტრადი-

ციული ცეკვები და სიმღერები შეასრულეს.

აღსაზრდელებს სწავლის ახალ საფეხურზე გადასვლა და წარმატებული გზა დაუღოცეს ასპინძის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ლევან ბერიძემ, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორმა ელისო ბექაურმა და N2 ბაღის მენეჯერმა მაია სანდოძემ.

ღონისძიების დასასრულს პატარებს გადაეცათ საბავშვო ბაღის დამთავრების მომწმობები.

აღნიშნულ ღონისძიებას ესწრებოდა ასპინძის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი დავით ფართლაძე.

პოეზიის საღამო

ასპინძაში არის ერთი მყუდრო ადგილი, სადაც მუდამ მომღიმარი თვალები, საინტერესო წიგნებთან მოფუსფუსე, გულთბილი ქალბატონები, სიმშვიდე და სიყვარული გმასპინძლობთ. ადგილი, სადაც წლის კალენდარი ცოცხლობს და სუნთქავს, სადაც გამოხმაურების გარეშე არ რჩება არც პოლიტიკური და არც საიუბელეო თარიღები, სადაც ძალდატანებისა და ყოველგვარი ზეწოლის გარეშე ერთ დაძახილზე გარბიან ჩემი აღსაზრდელები.

ეს ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკაა, აქ ყველას უხარია სტუმრობა, განსაკუთრებით ასპინძის საჯარო სკოლის მოსწავლეებს, მათ აქ დიდი სითბოთი და სიყვარულით მოელის სანდომიანი სახის ენერგიული ქალბატონი ნუნუ ბუჩუკური, ნუნუ ბებო ახალ-ახალი წიგნებით, საინტერესო ამბებით და პოეზიის დიდი სიყვარულით, იგი დაუღალავად უკითხავს, აკითხებს და

ასწავლის. ცდილობს, მოზარდებს შეაყვაროს ქართული პოეზია, გაუღვივოს მამულის სიყვარული, შეაყვაროს წიგნი, აზიაროს მშვენიერების აღქმას, გამოსტაცოს ქუჩას და დააინტერესოს კითხვით.

აი, დღესაც, შოთა ნიშნიანიძის და გიორგი გიგაურის იუბილეს გამოეხმაურნენ, პოეზიის საღამოზე გვიხმეს და დიდხანს რუდუნებით ისმოდა ბავშვების ათრთოლებული ხმა:

„მე ვარ მისანი, ხარი წიქარა,
შენი დვრიტა ვარ, მამულ-დედულო,
ზღაპრიდან მისთვის გამოვიპარე
რომ გემსახურო და გიერთგულო.“
(შოთა ნიშნიანიძე)

ან:

„სიკვდილშიც უნდა იცოცხლო,
კაცობით დაუძრახველით,
გინდა ხმლის ერთი მოქნევით,
გინდ ერთი ლექსის სახელით. “

– ეს გიორგი გიგაურია.

დიახ, სწორედ მამულის ერთგულებისა და მისთვის თავგანწირვისათვის ემზადებიან ეს პატარები, რომელშიც ლომის წილი თქვენ მიგიძღვით, ღირსეულო და ამაგდარო ქალბატონებო, ასპინძის ბიბლიოთეკის თანამშრომლებო, რისთვისაც მინდა ჩვენი გაზეთის საშუალებით ერთხელ კიდევ დიდი მადლობა გადაგიხადოთ ჩემი და ჩემი სკოლის მოსწავლეების სახელით. გისურვოთ ენერგია, ხალისი, მკითხველთა სიმრავლე და შრომის ღირსეული დაფასება.

თინათინ წითლანაძე,
ასპინძის საჯარო
სკოლის პედაგოგი

მიმდინარეობს მრავალსართულიანი კორპუსების სარეაბილიტაციო სამუშაოები

რამდენიმე წელია თითქმის მთლიანად იცვალა იერ-სახე მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა დასახლებულმა პუნქტმა, განსაკუთრებით, დაბა ასპინძამ, სადაც არ დარჩენილა არცერთი ქუჩა, ჩიხი, ადმინისტრაციული თუ სახელმწიფო ობიექტების შემოგარენი, კულტურული დაწესებულება და სხვ., სადაც არ განხორციელდა ინფრასტრუქტურული პროექტები, უფრო მეტიც, შედარებით სხვა მუნიციპალიტეტებთან, ალბათ, ყველაზე მეტი პროექტი აქ განხორციელდა. ახლახან კი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სასიკეთო ნაბიჯი გადაიდგა დაბაში არსებული მრავალსართულიანი კორპუსების სარეაბილიტაციოდ, რომელიც ცხრა ობიექტზე განხორციელდება.

აღნიშნულ სამუშაოებს ასრულებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია – შპს „მშენებელი - 2004“.

სამშენებლო სამუშაობის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 317 143 ლარს.

პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია ოთხი კორპუსის სახურავისა და ფასადის, ხუთი კორპუსის სადარბაზოების კეთილმოწყობა (კედლების გალესვა-შეღებვა) და კარ-ფანჯრების შეცვლა.

მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით

ასპინძის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.

ამჟამად აღნიშნულის ფარგლებში სოფელ მირაშხანში დაიწყო და მიმდინარეობს სასაფლაოს შემოღობვა. აღნიშნულ სამუშაოებს ასრულებს ი/მ ,,ზურაბ ქამადაძე" და მისი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 9168.85 ლარს.

სოფელ თმოგვში მიმდინარეობს ასევე სასაფლაოს შემოღობვა, რომელსაც შესაბამისად აწარმოებს შპს „ვერთა ყანა“ და მისი სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 17797.48 ლარს.

სოფელი ფიას მოსახლეობის თავშეყრის ადგილის რეაბილიტაციას აწარმოებს ი/მ „თამაზ მაისურაძე“ და მისი სახელშეკრულებო თანხა შედაგენს 16 438.47 ლარს.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მუნიციპალიტეტის სოფლებში განსახორციელებელი პროექტების შესარჩევად თითოეულ დასახლებულ პუნქტში საერთო კრებები ჩატარდა და მოსახლეობასთან კონსულტაციების შედეგად იქნა გამოვლინილი პრიორიტეტული მიმართულებები.

სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო

აქტიურად დაიწყო და მიმდინარეობს ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლის მეორე კორპუსის (თმოგვის სკოლის) შენობის სახურავისა და ეზოში არსებული (საეზოვე) საპირფარეშოს სარეაბილიტაციო სამუშაოები.

აღნიშნულ სამუშაოებს ასრულებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ნუკია“.

სკოლის კორპუსის შენობის რეაბილიტაციის სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 48 999 ლარს, ხოლო საპირფარეშოს რეაბილიტაციის – 17 186 ლარს.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდება აგრეთვე სკოლის ძირითად კორპუსის დამაკავშირებელი დერეფნისა და ძველი შენობის სახურავს. ასევე მიმდინარეობს სოფელ ტოლოშში საბავშვო-ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელსაც ასრულებს შპს „გიკო“.

სამუშაოების სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 292 000 ლარს.

საგანმანათლებლო -შემეცნებითი ტური ასპინძაში

13 ივნისს, ასპინძის კულტურის ცენტრში პროექტ „Techno Bus„-ის წარმომადგენლები დავით ველიაშვილი და გიორგი მამულაშვილი ასპინძის N1 საჯარო სკოლის, თანამედროვე ტექნოლოგიებით დაინტერესებულ ახალგაზრდებს შეხვდნენ. პროექტი „Techno Bus“-ი წარმოადგენს საგანმანათლებლო-შემეცნებით ტურს, რომლის მიზანია ქვეყნის მასშტაბით, სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ ახალგაზრდებს, ზოგადადსაინფორმაციო ტექნოლოგიების, ასევე თანამედროვე სამყაროში ბიზნესის კეთების ახლებური მიდგომებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით იდეების რეალიზების შესახებ მიაწოდოს ინფორმაცია.

პროექტი საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო „GITA„-ს მხარდაჭერით ხორციელდება.

საინფორმაციო შეხვედრას ორგანიზება ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურმა გაუწია.

დიდი მოწონებით შეხვდნენ

20 ივნისს ასპინძის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრში ნოდარ დუმბაძის დრამა – „ძახილი“ ერთმოქმედებად დადგმული სპექტაკლის პრემიერა შედგა, რომლის

დამდგმელი რეჟისორია საქართველოს დამსახურებული არტისტი, ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის პრემიის ლაურეატი, ლია სულუაშვილისა და იგი პატარა მსახიობების მიერ იქნა წარმოდგენილი.

ახალბედა მსახიობებმა აღნიშნულ სპექტაკლზე თავიანთი შესაძლებლობები საუკეთესოდ წარმოაჩინეს, რასაც დამსწრე საზოგადოების დიდი მოწონება და ოვაციები მოჰყვა.

ნორმალური სამუშაო პირობები ექნებათ

თითოეულმა ასპინძელმა კარგად იცის თუ როგორ პირობებში უხდებათ მუშაობა სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ასპინძის სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული სამსახურს, რომლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სამუშაო პირობები სრულიად არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, რისთვისაც მუნიციპალიტეტის მერიის დიდი მცდელობით მიღწეული იქნა, განხორციელებულიყო მუნიციპალურ ცენტრში მათთვის შესაფერისი ადმინისტრაციული ობიექტის მშენებლობა და სათანადო პირობების შექმნა.

აღნიშნულ სამშენებლო სამუშაოებს ასრულებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „კ-კომპანია" და მისი სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 238 299 ლარს.

ზველის ზედგინიძეების გვარის ისტორია

(გაგრძ. დასაწყ. წინა ნომერში)

ჩვენი სოფლის ქართველი ახალგაზრდობა იძულებული გახდა, თავდაცვის მიზნით, ჟორდანიას ჯარში წასულიყო მოხალისეთ. ელვის სისწრაფით ვრცელდებოდ ახალი ამბები, მთელი ფოცხოვისა და აბასთუმნის თათარი წამოსულიყო ახალციხეზე, რომელსაც შეუერთდა აწყვერისა და ურავლის ხეობების თათრობაც, მხოლოდ ორ სოფელში – ანდრიაწმინდასა და ხიზაბავრაში იდგა ქართველი და მთელი ეს ხუჟანი ამ ორ სოფელზე წამოსულიყო. ხიზაბავრის ქარაფებთან ქართველებს ტყვიამფრქვევებით იმდენი თათარი ჩაეხოცათ, იძახდნენ – სამიათასი თათრიდან სამასმა ძლივს გაასწროო. – მაკაევის ჯარი გაიქცა და ახალციხეში თათარი შევიდაო, მაკაევის ჯარი ანდრიაწმინდიდანაც გაიქცაო. მიუხედავათ მათი გაქცევისა, ანდის ომი მაინც გამართულიყო და ქართველებ აქაც გაუმარჯვიათ, საქართველოს იმდროინდელმა ხელისუფლებამ და ახალციხის ქართველმა მმართველებმა ისე მიატოვეს მესხეთის ქართველი მოსახლეობა, რომ არც კი გახსენებიათ მათ, რა შეიძლება მოსვლოდათ.

ზველში ბევრი ახალგაზრდა ქართველი ვაჟკაცი ყოფილა და თათრები ერიდებოდნენ მათთან ბრძოლას, მაგრამ მოულოდნელად გოკიოს ბეგებმა – აბაშიძეებმა აიყოლიეს თოკის ბეგები, ასევე აბაშიძეები, რომლებიც გათათრებული ქართველები იყვნენო და მოუგროვებიათ ბევრი თათარი და წამოსულან ზველზეო, დედაჩემის დედა – კატო ბებეი იძახდა, ზამთარი იყოო, ძაან ციოდაო, დავინახეთ, დადეში გზიებზე, ტყიდან გამოვიდა თათრების ჯარიო, ექვს წყებათ მოდიოდნენო, თავი ზველში რო შემოვიდა, ბოლო ტყიდან ახალათ გამოვიდაო, ამ თათრებმა ჩვენ სოფელ აღყა შემოარტყესო და მერე ერთდროულათ სოფელში შემოცვივდენენო და დაიწყეს მოსახლეობის დაწიოკება და ძარცვა-გლეჯვაო, მათ აირჩიეს ახალგაზრდა ქართველი ვაჟკაცებიო და სოფლიდან გაიყვანეს და მორევაში დაამწკრივესო, ასევე ერთი გოგო – ნინო ივანიძე, რომელმაც თათრების გაყოლას სიკვდილი არჩია, ამოიღო თავისი ძმის იარაღი და თავი მოიკლაო, თათრებმა მორევაში გაყვანილი ეს ვაჟკაცები კარაბინებით დახვრიტეს, აინტერესებდათ, ერთი ტყვია, რამდენს გაუვლისო. დედას ბიძაშვილი – მაიკო ზედგინიძე მიყვებოდა, – როცა ბეგები წავიდნენ, სახლებიდან გამოვედითო, რამდენიმე მოხუცმა ქალმა წაგვიყვანაო, ორი მარხილითო, რომ გადმოგვეყვანა დახოცილი ვაჟკაცებიო. როცა მივედით, დავინახეთ, რომ თოვლი სულ წითელი იყოო, ჩვენი ვაჟკაცები ერთმანეთზე თოკებით იყვნენ გადამბულები და ერთმანეთის მიყოლებით ყველას გულში ტყვია ჰქონდათ გავლილიო. ჯერ რიგში ჩაეყენებინათ და თოფებით უსროლიათ, ნახოთ რამდენს გაუვლის ტყვიაო და მერე ორთითებით დაეჩხვლიტათ და მერე ხმლებით სულ დაეჭრათო, ზოგი ბიჭებისათვის ასოები მოეჭრათ და მათსავე პირში ჩაედოთო. დახოცილები მარხილებით გადავიყვანეთ სოფლის სასაფლაოზე და ერთი საერთო საფლავი ქალებმა მთელი ღამის განმავლობაში ძლივს ამოვთხარეთ და ყველა ერთად დავმარხეთი. ამ დროს ყველაზე მეტი ახალგაზრდა მოკლესო – 18 კაცი და ერთი ქალი. აღნიშნულ შემოსევისას აბაშიძეებს წინ აღუდგა ზველის თათრების მოლა და არ აძლევდა საშუალებას, რომ ქართველები სახლებიდან გამოეყვანათო და დაეხოცათო, მაგრამ აბაშიძეებმა ეს მოლაც მოკლეს და ერთი ზველელი თათარი – ასკერაიც ზედ მიაყოლესო, ეს კაცი, ასკერაი, გლავიეენთ სახლის კარებში ჩამდგარა და თათრებ არ უშვენდა შიგნითო, ამათაც კარაბინა ესროლეს და კარებთან მოკლესო, ამ თვრამეტი კაციდან ორი თათარი იყო, ერთი მოლა და მეორეც, თათარი ასკერაი. მთელი სოფელი ტყეში იმალებოდაო, იმ სიცივეშიო. ჟორდანიას ხელისუფლება და ჯარი ისე გაქცეულა, რომ არც კი უფიქრია, ხალხს რა დაემართებოდაო. იმათ თავს უშველესო და ჩვენ ვერსად გავიქეცითო, გარშემო სულ თათრის სოფლები ყოფილა და ვერავის გაუღწევიაო. ამ დღეს ყველაზე მეტი ხალხი დახოცილა, მაგრამ, სხვადასხვა დროს, კიდევ დახოცეს ზველელებიო, მოკლეს გიგა ალექსის ძე ზედგინიძე, რომელიც იყო რუსეთის ჯარების პოლკოვნიკი და ჩამოსულიყო სამშობლოში, ოჯახის მოსანახულებლად. იგი თავისმა ნათლიამ გაყიდა და ოცდახუთი თათარი მოიყვანა და მოაკლევინაო, მთელს მესხეთში ყველაზე მეტი ხალხი თათრებმა ზველში დახოცეს და ყველაზე დიდი უბედურება ზველმა გადაიტანაო. ბეგების წასვლის მერე თურქეთის ჯარი შემოსულა და ახალციხეში ჩამდგარა. ასევე მათი ჯარის ნაწილიც ურაველში მდგარა. ამ ჯარის შემოსვლისთანავე, ახლა ადგილობრივი თათრები ზველის, ჭობარეთის, ხეოთის, ურავლის, იენგიქვევის, ჩორჩოს, ენთელის აგარის და ა.შ. თათარი შემოსულა, მოუგროვებიათ ზველისა და ჭობარეთის ქართველი მოსახლეობა და ზველის ეკლესიასთან არსებულ სკოლაში შეუყრიათ, მოუტანიათ შეშა და ფიჩხი, შემოუწყვიათ ნავთით სავსე ბიტონები და გადაუწყვეტიათ ამ ხალხის ცოცხლათ დაწვა. ერთი ჭობარელი თათარი სასწრაფოთ გაქცეულა ურაველში და იქ მდგარ თურქეთის ჯარის უფროსისათვის მოუხსენებია ეს ამბავი, უფროსსაც თავისი ჩაუშები გამოუგზავნია და ქართველები გაუნთავისუფლებიათ და აღარ დაუწვიათ. ასეთი უბედურება გაგრძელებულა ორი წელი. მერე ქართველი შემოსულა, ანუ ჟორდანიას ჯარი და ვითომ ქართველების დასაცავად ჩვენ სოფელში უდრიანკები ჩაუყენებია, შვიდი კაცი. რომ იტყვიან, ვაის გავეყარე და უის შევეყარეო, თათრები არ გვეყოფოდაო და ახლა ქართველებმა, ამ უდრიანკებმა, დაიწყეს ჩვენი ძარცვა-გლეჯვაო. მამაჩემი ამბობდა, ქალაქში ვიყავი წასულიო და როცა სოფელში მოვედი, პაპაშენმა მითხრა, გარეთ არ გახვიდე, ქართველმა ჯარისკაცებმა სოფელში ვინც ქართველი ახალგაზრდა იყო, დაიჭირეს და იორდანიენთ გერასიმეს სახლში შეყარესო, ითხოვენ ოქროულობას, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველას დავხოცავთო, მამაჩემი ამბობდა, მე ავიღე თოფი და მივედი იორდანიენთ სახლთანო. ივანიძე ილოს სახლის ბუხართან ჩავჯექიო და იორდანიენთ სახლ დაუწყე სროლაო, თოფის ხმის გაგონებაზე მაყვლიენთ ზედგინიძე შიოი და მამამისი ალექსაიც ამოვიდნენ თოფებით, მამეშველენო და მაგათაც ჟორდანიას გვარდიელებ დაუწყეს სროლაო, გვარდიელებ შიეშინდათ და დაგვიწყეს ხვეწნა, გაგვიშვითო. ჩვენ ვთქვით, ისეც ბევრი ქართველი დაიხოცა და კიდევ ქართველები რო დახოცილიყვნენ, აღარ გვინდოდაო. უდრიანკებს იარაღი წავართვით და გაუშვითო, ამის შემდეგ უდრიანკები აღარ გამოჩენილან, ხოლო ხალხი, მადლიერების გამო, ორი კვირის განმავლობაში, ყოველდღე, გვაქეიფენდაო. ამ ამბიდან რამდენიმე თვის გასვლის შემდეგ, გავიგეთო, რო ჟორდანიას ჯარი ისევ გაიქცა და თათარი შემოვიდაო, მაგრამ თათრებ აღარაფერი აღარ დასცალდათო და წითელმა არმიამ



ზველის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია

ჩვენი მხარე გაანთავისუფლა თათრებისგანო და ნელა-ნელა ყველაფერი დასრულდაო და მშვიდობა დამყარდაო.

ძველ დროში უმცროს-უმფროსობა იყო და უმფროსებ და ასაკიან ადამიანებ დიდ პატივს სცემდნენო, მათზე შეკითხვის გარეშე ნაბიჯსაც არავინ გადასდგენდაო, ამიტომაც ერთ დღეს შეკრებილა ჩვენი სოფლის ქართველობა და უხუცესებისთვის უთქვიათ, რომ თათრებმა ყველაზე მეტი ხალხი ჩვენ დაგვიხოცესო ყველაზე დიდი უბედურება ჩვენ მოგვადგაო, რაგორ შეიძლება თათრებისთვის ამის პატიებაო, აგერ ჩვენს მეზობელ სოფლებში, შეხედეთ, რა ხდებაო, – ჭობარეთის მოსახლეობამ დაიწყო შურისძიება და თათრებ ხოცავენო. მოხუცებს უთქვამთ, თათრებმა ჩვენს მიმართ იმხელა ცოდვა ჩაიდინეს, რომ მათ ჩვენ ვერ განვსჯითო, ღმერთმა უნდა განსაჯოსო, სისხლი სისხლით არ დაიბანებაო და შურისძიება არ უნდა მოხდესო, ეს კიდევ უფრო დიდ უბედურებას გამოიწვევსო. მოხუცმა კაცებმა არ მისცეს შურისძიების უფლება ახალგაზრდებს, ამის გამო, განსხვავებით ჭობარეთისა, ზველში თათრების მიმართ შურისძიება არ მომხდარა და ამ მიზნით თათარი არ დაუხოციათ, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე გამონაკლისისა.

ცნობისათვის, ძირითადად სოფელ ჭობარეთის და, ნაწილობრივ, მუსხის ქართული მოსახლეობისაგან ჩამოყალიბდა შეიარაღებული ჯგუფები, რომელშიც გაერთიანებულნი იქნენ ყოფილი გვარდიელები და ნიკოლოზის ჯარისკაცები, რომელთაც, შურისძიების მიზნით, ძალიან ბევრი თათარი (თურქი-მესხი) დახოცეს.

ქვეყანა გასაბჭოდა, მშვიდობა დამყარდა, ხალხმა შრომა დაიწყო და დოვლათის შექმნა, წითელი არმიის შემოსვლიდან რამდნიმე წლის მერე, სოფელ ურაველში ჩატარებულა კომკავშირის კრება, სადაც მოუხსენებიათ, რომ უნდა დაწყებულიყო კოლხოზიზაცია, ყველაფერი საერთო იქნებაო, ჩვენი სოფლიდან რამდენიმე კაცი ყოფილა ამ კრებაზე და ამბავი უთავბოლოთ ამოიტანეს, ხალხი დაპანიკდა და ზველიდან 16 ახალგაზრდა კაცი თურქეთში გაიქცა, საიდანაც მერე საფრანგეთს გადავიდნენ, მამაჩემი იძახდა – ვეუბნეოდი, სად მიხვალთ, ცოლშვილ ვის უტოვებთო, მაგრამ არავინ დამიჯერაო.

შემდეგ ჩამოყალიბდა კოლმეურნეობა, ხალხს მიწები და ქონება ჩამოართვეს, შესაბამისად მოსახლეობაც კოლმეურნეობაში გააწევრიანეს, შემდეგ დაიწყო დიდი სამამულო ომი და გაიწვიეს ბევრი ახალგაზრდა, საიდანაც ნახევარი აღარ დაბრუნებულა, სამამულო ომის მიმდინარეობის პერიოდში თათრებმა (თურქი-მესხები) მოსვენება დაკარგეს, ყოველდღე ელოდებოდნენ თურქების ჯარის შემოსვლას, იძახდნენ, რომ ცოტა ხანში ქართველების აღსასრული დადგებაო, მაგრამ მათი იმედები არ გამართლდა, მოულოდნელად ,სტალინის ბრძანებით, თათრები შუა აზიაში გაასახლეს, ზველიდან გაასახლეს დევრიშიენი, ყოჩვიენი, იშხანიენი, მჭედლიენი და სხვა ჯიშები, რომელთა სახელებ ვეღარ ვიხსენებ.

ამის შემდეგ სოფელში ისეთი საინტერესო ამბავები აღარ მომხდარა, ომი დამთავრდა, მშვიდობა დამყარდა და საბჭოთა კავშირის დანგრევამდე მშვიდობა იყო, ხალხი შრომობდა, მუშაობდა, გამრავლდა მოსახლეობა, გააშენეს ახალი სახლები, მიწური სახლებიდან გამოვიდნენ და ცხოვრება მიდიოდა მშვიდად, სანამ საბჭოთა კავშირი არ დაინგრა და ახალი არეულობები არ დაიწყო.

სოფელ ზველში ცხოვრობენ, ზედგინიძეები, დიასამიძეები, ივანიძეები და ინასარიძეები, ამჟამად ერთი ოჯახია ბერიძე, ერთი პაპაშვილი და ერთიც მამულაიძე, ზველის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არის ნასოფლარები: ღობიეთი, ქორეთი, ჩამოჭერა, ჭიმურიები, პატარა ზველი, გოგოთ უბანი, თეთრაწყარო, ყური, ჭურა, სატიკნე, ფიქლური და წითელი საყდრები, სადაც ერთ დროს თურქეთ-საქართველოს საზღვარი გადიოდა, მაგრამ წითელმა არმიამ საზღვარი 100 კილომეტრით გადასწია თურქეთისაკენ და დღეს სადაც საზღვარი გადის იქამდე..

ნასოფლარი ყური მოხსენიებულია მოსახლეობაში გავრცელებულ ძველ ლექსში, რომელის მიხედვითაც ხშირი წვიმები ზველისათვის არ იყო კარგი:

რუსთავ გვირილა აყვავდა.
ვაი მოუვა ზველსაო,
ყურთ წყაროები გამოვლენ.
ნეტაი ახაშენსაო.

რუსთავი სოფელია, ხოლო ახაშენი და ყური ნასოფლარები.

სოფელ ზველის ტერიტორიაზე ორი ნაეკლესიარია და ერთი ეკლესიაა წმინდა გიორგის სახელობის, რომელიც სოფლის ცენტრში დგას, ასევე ნაეკლესიარია ღობიეთში, ქორეთში, ღობიეთში მონასტერიც ყოფილა, მაგრამ დღეს ნანგრევებია შემორჩენილი, წითელი საყდრებიც ნამონასტრალია, გრძელ ჭალის თავზეც ნაეკლესიარია.

სოფელ ზველში არსებული სახნავ-სათესი ყანების სახელებია: შუაგზიევის ყანევი, მორევა, ჩარდაღას ყანევი, მინაურევის ყანევი, გოხევის ყანევი, კიკოლიენთ ყანევი, ფარნიძირის ყანევი, დადეში გზიევის ყანევი, ჭალი ყანევი, მათიეენთ ყანევი, ჭიმურიევი, საფლავების ყანევი.

ღობიეთში არსებული სახნავ-სათესების სახელწოდებებია: ჯირით მოედნის ყანევი, ჩამოჭერას ყანევი, ჩანგძელას ყანევი, კაკნაურევი, მერიევი, კახო ყანევი.

ბაღები გვაქვს ღობიეთისა და ქორეთის.

წყაროები: იაღლი ფუარი-ერბოანი წყარო, ცხრაკენჭა, პეტრიეენთ წყარო, ჟანგირას წყარო, თეთრაწყარო, სანხობელა, ჩაურმიას წაყარო, კიკოლიენთ წყარო, ნეფი წყარო, მონათლულები, კაკნაურების წყარო, ნინოწყაროები, ჭინკა ზაბიას წყარო, გაბრიელიენთ წყარო და აშ.

ამ ორიოდე წლის წინ ჩვენს სოფელში მოვიდა სამი კაცი და გაჩერდნენ ჩემს სახლთან ე.წ ბირჟაზე, ერთმა სუფთა ქართულად მითხრა, რომ იგი იყო 1944 წელს ოშორიდან გასახლებული თურქი-მესხი, ხოლო ორმა რუსულად მითხრეს, რომ არიან მამა-შვილი ზველიდან გასახლებული მჭედლიენთ შთამომავლები და აინტერესებდათ, თავიანთი სახლები, სადაც ცხოვრობდნენ, მე გავყევი და ვაჩვენე, მათი ნამოსახლარი. უფროსმა თქვა, რომ ექვსი წლისა ვიყავიო, რომ ზველიდან გაგვასახლესო და ბევრი არაფერი მახსოვსო, შემდეგ გადავიდნენ სოფელ ჭობარეთში, მოინახულეს ჯვარიძე ამირანაი და ზედგინიძე კაკოი, იქიდან ერთი ყოჩი წამოეყოლიებინათ და ხალხს გადასცეს, დაკალითო. ეს ამბავი იმიტომ მოვიყვანე, რომ სამივეს ისეთი აღნაგობა და სახის ფერი ჰქონდათ, რომ შეგშურდებოდა, ალბათ, ქართველი ადამიანი როგორიც უნდა იყვეს, ზუსტად ასეთები უნდა ყოფილიყვნენ. წასვლისას, იმ კაცმა, რომელმაც თავი ოშორელად გაგვაცნო, მითხრა, რომ თურქეთის ხელისუფლება ყველა ღონეს ხმარობს, რომ თურქი-მესხები მთლიანად თურქებად ჩამოყალიბდნენო, თურქეთში გვიწვევენ ათას ღონისძიებებზეო. აგერ უკვე ერთი კვირაა, რაც მესხეთში ვმოგზაურობთ და ერთ დასკვნამდე მივედიო, ადრე მეგონაო, რომ ქართული გვარები, რომლებიც პასპორტებში გვაქვს, გამოგვყვა საქართველოდან და ქართველებთან საერთო არაფერი გვაქვსო, მაგრამ ეხლა დავრწმუნდი, რომ თურქებთან საერთო არაფერი გვაქვსო, რადგან აქ ის სული დამხვდა და ის ხალხი დამხვდა, ვინც ჩემს სახლში და ჩემს ოჯახში მხვდებაო, თურქებთან გული არასოდეს მიმდიოდა და ახლა აღმოვაჩინე, რომ ჩვენი ხალხი ქართველია და ჩვენი სამშობლო საქრთველოაო, მაგრამ, ვაი, რომ ძალიან გვიან არის და არაფერს აღარაფერი ეშველებაო. შემდეგ მაჩვენა თავისი პასპორტი სადაც ეწერა სახელი და გვარი – ილიმხან აბაშიძე. მან მითხრა, რომ მე თოკის ბეგების – აბაშიძეების შვილის შვილი ვაარო, შემდეგ დაგვეშვიდობნენ და წავიდნენ, მივხვდი თავიდან რატომაც მითხრა ამ კაცმა, რომ ოშორელი იყო.

მთხრობელი ალიოშა ზედგინიძე,
ჩაიწერა გიორგი ჯვარიძემ
2016 წელს

შეჯამდა გასული სასწავლო წელი

დასაწყისი გვ 1.

მარიამ მაგრაქველიძე ეროვნულ ოლიმპიადებში, სხვადასხვა პროგრამებსა თუ პროექტებში მიღწეული წარმატებისათვის გავაგზავნეთ საზაფხულო ბანაკებში, უახლოეს დღეებში კი ანაკლიისა და მანავის საზაფხულო ბანაკებში გაიგზავნება საჯარო სკოლების მოსწავლეთა ახალი ნაკადი.

რესურსცენტრის ყურადღების ცენტრშია დამწყებ მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში მათი შეფასების პროცესი. სისტემატური კავშირი გვაქვს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის კოორდინატორებთან. მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე სხვადასხვა საკითხებზე კონსულტაციებს ვუწევთ საჯარო სკოლების შეფასების ჯგუფებს, პედაგოგებსა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს.

ამჟამად აქტიურ რეჟიმში საქმიანობენ საჯარო სკოლების შეფასების ჯგუფები. სკოლების დირექტორების, ფასილიტატორებისა და მასწავლებლებისათვის გასული სასწავლო წელი დატვირთული იყო ტრენინგებითა და სხვა აქტივობებით, მათ შორის: ლიდერობის აკადემიის, VII-XII კლასების, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ინგლისურის და გეოგრაფიის მასწავლებლებისთვის დაგეგმილია ტრენინგები, რომლებიც მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლას ემსახურება.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა სასკოლო ტრანსპორტით მომსახურების პროგრამის ხელშეწყობას. ამჟამად მოქმედებს 14 მიმართულება და პროგრამაში ჩართულია 11 საჯარო სკოლა.

სამინისტროს ინიციატივითა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ჩართულობით დაიგეგმა ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც ითვალისწინებს ახალი სკოლის მშენებლობას ორგორაში, ნაქალაქევის საჯარო სკოლის მე-2 კორპუსში უკვე შეიცვალა სახურავი, ხოლო საპირფარეშოები მოეწყობა რუსთავის, ზველის, ოშორის, ხიზაბავრის, დაბა ასპინძის, ტოლოშის, დამალის საჯარო სკოლებში, სამედიცინო კაბინეტი – ოშორის სკოლაში, რეაბილიტაციის შედეგად გაზზე გადავა ასპინძის საჯარო სკოლის ცენტრალური გათბობა, ახალი სასწავლო წლისთვის გაკეთდება შეშაზე მომუშავე ცენტრალური გათბობის სისტემა ივერიის სკოლაში.

ახლახან ყველა სკოლაში არჩეული იქნა სამეურვეო საბჭოების ახალი შემადგენლობა, რომელთა მონაწილეობა, სასკოლო ცხოვრებაში, ვიმედოვნებთ, სასურველ შედეგს მოიტანს და უფრო ნაყოფიერს გახდის სკოლების საქმიანობას.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ განათლების სამინისტროს ახალი კანონმდებლობით 37-მა პრაქტიკოსმა პედაგოგმა ისარგებლა და ორ წელზე გათვლით თანამდებობრივი სარგოს გათვალისწინებით მიიღებენ ერთჯერად ფულად კომპენსაციას.

ტრისტან მურადაშვილი,
ასპინძის საგანმანათლებლო
რესურსცენტრის უფროსი

წარსულის ფურცლები

ძველი ასპინძა,
ე.წ. სოფლტექნიკის ტერიტორია

სამუსიკო სკოლაში

19 ივნისს ასპინძის მუნიციპალიტეტის ვ. მაღრაძის სახელობის სამუსიკო სკოლაში ღია აკადემიური კონცერტი გაიმართა.

სკოლის მოსწავლეებმა სხვადასხვა ცნობილი კომპოზიტორების ნაწარმოებები და გუნდური სიმღერები შეასრულეს.

კონცერტის დასასრულს სამუსიკო სკოლამ სხვადასხვა კონკურსებში გამარჯვებული მოსწავლეები დააჯილდოვა სიგელებით.

აღნიშნულ ღონისძიებას ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ მაგრაქველიძე, საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა მელიქიძე და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ახალი წიგნები

ახლახან ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეივსო კიდევ რამდენიმე ახალი გამოცემით, მათ შორისაა:

თაყაიშვილი ე. – თხზულებანი, ტ. I, „არqეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩარგალში. 1907 წელი„; თბ. გამომც. „არტანუჯი". 2018 წ. – 388 გვ.

თაყაიშვილი ე. – თხზულებანი, ტ.II, „ქრისტიანული ძეგლები", თბ. გამომც. „არტანუჯი", 2018 წ. – 440 გვ.

თაყაიშვილი ე. – თხზულებანი, ტ III, „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში, 1910 წელი", თბ. გამომც. „არტანუჯი", 2017 წ. – 428 გვ.

თაყაიშვილი ე. – თხზულებანი, ტ. IV, „არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში 1919 და 1920 წწ.", თბ. გამომც. „არტანუჯი",, 2017 წ. – 488 გვ.

თაყაიშვილი ე. – თხზულებანი, ტ. V. – „ზარზმის მონასტერი, მისი რესტავრაცია და ფრესკები", თბ., გამომც „არტანუჯი", 2018 წ., – 484 გვ.

„უფლის აფთიაქი – სამკურნალო მცენარეები. მონასტრული რეცეპტები", თბ. გამომც. „დიადემა", 2019 წ. – 528 გვ.

საინფორმაციო მეთოდურ-ბიბლიოგრაფიული განყოფილება

სპორტი

დიდი წარმატება მოიპოვეს

მიმდინარე წლის 23- 28 ივნისს ქალაქ ოზურგეთში ჩატარდა 2018-2019 წლის სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ფინალური თამაშები, სადაც მონაწილეობდა საქართველოს ოლიმპიადის შარშანდელ გეზრბენში გამარჯვებული ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლოშის საჯარო სკოლის გოგონების გუნდი, რომელშიც შედიოდნენ **მარიამ ნადირაძე, ქეთი გვარამაძე, ნაირი გვარამაძე, ნინო ქუქჩიშვილი, ანი მელიქიძე, თამთა ბერიძე**, სპორტის მასწავლებელი **მამუკა ნადირაძე**.

გოგონებმა გუნდური მეორე ადგილი დაიკავეს. უნდა აღინიშნოს, რომ მათ შესანიშნავად ჩაატარეს ფინალური თამაშები, ამის დასტურია მარიამ ნადირაძის მიერ მოპოვებული საუკეთესო მორბენლის პრიზიც. მან პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი. ოლიმპიადაში მონაწილე გოგონებს გადაეცათ შესაბამისი ხარისხის სერტიფიკატები. რაც დიდი წარმატებაა მუნიციპალიტეტის სპორტულ ცხოვრებაში.

საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის მიერ მადლობის სიგელი გადაეცა ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიასაც, სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაში აქტიური ჩართულობისათვის.

პაატა ქავთარაძე

ღიმილის კუთხე

საქონლის გადაბარება

კომუნისტურ ხანაში ასპინძის სამეურნეო მაღაზიაში მუშაობდა ყველა ასპინძელისათვის კარგად ცნობილი პიროვნება ნესტორ ოქროაძე.

სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით, წესისამებრ, დაიწყო საქონლის გადაბარების პროცესი, რომელმაც კარგა ხანს გასტანა. იგი თითოეულ საქონელს ცალობით აბარებდა თავის შემცვლელს. ჯერი მიდგა ფოტოქაღალდებზე, რომელიც დალუქულ, შავ, სპეციალურ პაკეტში იყო შეფუთული (სინათლიდან დაცული რომ ყოფილიყო).

ნესტორმა ვერ დაარწმუნა თავისი შემცვლელი, რომ პაკეტებში ჩადებული იყო ოცოცი ფოტოქაღალდი და მისი გახსნით ისინი გამოუსადეგარი გახდებოდნენ. მაგრამ ახსნა-განმარტებებმა არ გასჭრა და, ბოლოს, რომ ველარ დაარწმუნა იგი, იძულებული გახდა თითოეული მათგანი ცალ-ცალკე გაეხსნა და... ამით გადაბარებაც დაამთავრა.

თხოვნა შეუსრულეს

ასპინძაში, ერთ-ერთ მრავალსართულიანი კორპუსის მშენებლობაზე, დასაქმებული იყო ადგილობრივი მკვიდრი, სოფელ ტოლოშში მცხოვრები ნოდარ ნადირაძე. იგი უპრეტენზიოდ ასრულებდა მასზე დაკისრებულ ყოველგვარ სამუშაოს.

ერთ დღესაც, უსაფრთხოების წესების დარღვევის გამო (ჩამოიშალა გაუმართავი ხარაჩო), მეოთხე სართულიდან გადმოვარდა. საბედნიეროდ, „დამიწება" ისე მოხდა, რომ ცოცხალი გადარჩა და, რადგან საავადმყოფო იქვე იყო, თავისი ფეხით მივიდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის.

ამ ფაქტის გამო საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა სამშენებლო ტრესტში, სასწრაფოდ ადგილზე მოინახულეს ნოდარი და ყოველგვარ დახმარებას დაპირდნენ. ნოდარის პრეტენზია არც არაფერზე გამოუთქვამს, თუმცა მხოლოდ ერთი რამ თხოვა მათ: ხარაჩოდან გადმოვარდნისას ჯიბეში ჯაყვა დანა და სიგარეტი („პრიმა„) მქონდა და იქნებ როგორმე მომიძებნოთ და მომიტანოთო.

„დიდი თხოვნა" უმალ შეუსრულეს ნოდარის.

ფოტოგრაფთან

ასაკში შესულ ბევრ ასპინძელს დღესაც კარგად ახსოვს სანდრო თამაზაშვილი, გამორჩეული თავისი ენაკვიმატობით, გამჭრიახი გონებითა და თავისი დიდი იუმორით. საბჭოთა პერიოდში ყოველთვის იმართებოდა დაბაში (როგორც მთელ საბჭოეთში) საპირველმაისო, საცხრამაისო, 25 თებერვლისათვის და 7 ნოემბრისათვის მიძღვნილი დემონსტრაციები. სამახსოვროდ კი ზოგიერთები თუ ახერხებდნენ სურათების გადაღებას, რადგან ზეიმების დროს რაიონში კარგად ცნობილი ფოტოგრაფი აბრამა (ეროვნებით ებრაელი), სურათებს ულებდა ისეთ პიროვნებებს, ვისგანაც დაზღვეული იყო, რომ ბევრ სურათს გაუსაღებდა. სანდრომ მოინდომა სურათების გადაღება, მაგრამ აბრამა, რატომღაც, თავს იკავებდა. სანდროს საზოგადოებაში „თავი რომ გამოეჩინა", აბრამას ჩუმად თხოვა: „აბრამ, აპარატი რამდენჯერმე ჩააჩხაკუნე და შენი სურათები სულ არ მჭირდებაო"!

აბრამამ სანდროს უყოყმანოდ შეუსრულა თხოვნა.

დიმიტრი მაღრაძე

მე ფიქრი ვარ

მიყვარს ფიქრთა გრაგნილები,
ცისფერ ყალმით თეთრ ქაღალდზე წერა
და ფიქრები შენზე დარდით დაღლილები,
მაგიდაზე ალაგია მწველად.

ოცნება ვარ ლაჟვარდ ცაში აფრენილი,
ოცნებებით ფანტაზიებს ვკერავ,
პაწაწინა იის სუნთქვა მათრობს,
ვარდის კვირტის სიყვარულის ტყვე ვარ.

მე ნატვრა ვარ...
უსაზღვრო და უნაპირო,
დაუდგრომელ ყარაჩოღელს ვგევარ.
ნატვრა წრფელი და ნამივით წმინდა,
მარცვალ-მარცვალ ლექსის წერას ვბედავ...

მე ფიქრი ვარ,
მიყვარს მისი გრაგნილები,
და ფიქრები უსასრულო, დაღლილები
მაგიდაზე ალაგია მწველად.

ჩემი სოფელი

ჩემი პატარა სოფელი
არაფრად გამორჩეული,
წყაროს რაკრაკი საამო
ბილიკები დაკიდებული.

ერთი პატარა მდინარე,
ზედ კონწიალა ხიდით,
ხან გიჟი, გადარეული,
ხანაც წყნარი და მშვიდი.

ჩემი პატარა სოფელი,
ბავშვობის ტკბილი უბე,
ჩიტსაც კი უყვარს ის ხე,
სადაც იკეთებს ბუდეს.

ამ წუთისოფელს მეც შევრჩი
ჩვეულებრივი გზნებით,
გადაჭიმული მინდვრებით
ბაღ-ვენახებით, ზვრებით.

ორღობეებით, ყანებით,
ყველა სოფლისთვის ჩვეულით...
სხვისთვის უბრალო სოფელი
ჩემთვის კი გამორჩეული.

ღვინომ თქვა

მართლა მომლხენი ვინც არის
გამომიყენებს კარგადო,
ვინც არა, მოლხენის ნაცვლად
ჭკუა-გონებას კარგავსო.

ვინც შემსვამს, თავის დონეზე,
არ უღალატებს ადათსო,
არც სიტყვა-პასუხს შეიშლის,
არც სუფრის წესს და ლაზათსო.

ზოგი ხალისსაც მიკარგავს,
თავად კი კარგავს სახესო,
მერე კი მე დამაბრალებს, –
მე რა ვუშველო ასეთსო!

მარინა კუზლაშვილი,
დ.ასპინძა

ინფორმაციები მოგვაწოდა ასპინძის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის
საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ეკა კალაიჯიშვილმა

რედკოლეგია